**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030144595136120

**№ 01-428/ო** **28 / აგვისტო / 2020 წ.**

## „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

**მუხლი 1.** „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. ბრძანების „ო“ ქვეპუნქტით დამტკიცებული № 14 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:**

„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის” (დანართი №14);

**2. ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ$^{5}$ ქვეპუნქტი:**

„ჰ$^{5}$) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (დანართი №38).

**3. ბრძანებას დაემატოს №38 (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის) დანართი თანდართული რედაქციით.**

**მუხლი 2.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე